



# ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის  
საინფორმაციო ორგანო

№2 (77) აპრილი, მაისი, ივნისი 2016 წელი



წმ. ანთიმოზ ივერიელი

ენა დედაა ერისა



ერთი მამალი აღუიბოდა  
თრქ-ათსაჭოთს



# ენა დედაა ენისა

2016 წლის 14 აპრილს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან, ილია ჭავჭავაძის მემორიალურ მუზეუმსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად მოენციო ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ სანავლო-საგანმანათლებლო-შემოქმედებითი შეხვედრა „ენა დედაა ენისა“ შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენელი, მარნეულის რაიონის აზერბაიჯანული, აფხაზეთის #2 და #3 საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები, საქველმოქმედო სახლ „მომავლის გზის“ საზრდელეები.



გოგებაშვილმა. ქართული და აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებმა ნაიკითხეს ლექსები. შემდეგ ახალგაზრდები ეწვივნენ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს და მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო პროექტში „გზა დედა ენისკენ“ ენის ყვავილებით შეამკეს დედაენის ძეგლი.

შეხვედრა გახსნა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ, დამსწრეებს მიესალმნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აზერბაიჯანული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი თემურ შალამბერიძე.

ქართული ენის შესახებ ისაუბრა მკვლევარმა, ფოლკლორისტიმა მარინე კოლხიდაშვილმა. ნიგნის „იაკობ გოგებაშვილის დედა ენის საიდუმლო“ ტორმა მარინე კიკნაველიძე-პაპიძემ, იაკობ გოგებაშვილის შთამომავალმა ლილი

## ერთი მამალი აღვიბებდა ოდიშ-აფხაზეთს



იქ ყველაფერი რატომღაც სულ სხვანაირია... უფრო თბილი მზე და ზღვა; უფრო ნათელი ცა, განსხვავებული ნიავი, მთა, ბარი, მდინარეები და ტბები - ჩვენთვის შორეული და მიუწვდომელი... ამიტომაც, რომ აფხაზეთის მკვიდრნი ხან საოცარი ნოსტალგიითა და ხანაც ალტაცებით ვიხსენებთ ჩვენთვის მნიშვნელოვანს, ძვირფასსა და ფასეულს... მშობლიურ კუთხეს, სად „...ისტორიამ გადიგრილა, და მიწა ჩუმად ისინჯავს ტკივილს...“ (ლეონიძე) სად ჩვენი ოდაბადეა, სად ჩვენი ბავშვობა და ყრმობა ჩარჩა... სად წინაპართა საფლავებია...

შოთა ნიშნიანიძის პოეზია, რადგან ის ყველგან იყო, სადაც ტკივილია და ერთ-ერთი უდიდესი ტკივილი მის ცენტრს აფხაზეთი იყო. მის ბრწყინვალე ლექსებში მარგალიტით მიმოზნეულია აფხაზი და ქართველი ერის ურთიერთობები. თქვენი ინინასწარმეტყველება, თითქოს გული უგრძობდა აფხაზური კანტანტს... ეს ხომ უდიდესი წინათგრძნობაა, ჰიმნია, უდიდესი ძალაა, ხელთუქმნელი ძეგლია თითოეული ქართველისა და აფხაზის გულში დასადგმელი. ამ ლექსით პოეტი კრავს აფხაზს და ქართველს, თან გულისტკივილით მიანიშნებს: „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამძღელო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ...“

საუკუნეების განმავლობაში ქართველთა და აფხაზთა დამოკიდებულება მრავალი ქართველი და აფხაზი პოეტისა და მწერლის შთაგონების წყარო გამხდარა.

2016 წლის 28 აპრილს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მოაწყო შოთა ნიშნიანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. მცირე დარბაზმა უდიდესი სითბო, სიყვარული და მონატრება დაიტია პოეტისა, რომე-

აფხაზეთმა გულით მიიღო და შეიყვარა შოთა რუსთაველის, გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატის, პოეზიის სახელგანთქმულ რაინდ





ლიც თავისი „აფხაზური კანტატი“, და მრავალი სხვა გენი-  
ალური პოეტური შედეგით ისე ლამაზად შეეხო აფხაზთა  
გულს სიმებს, რომ ქართველი და აფხაზი საზოგადოების  
გულში დაიდო ბინა და მისი უკვდავი ბინადარი გახდა.

სალამოზე მონვეულნი იყვნენ პოეტის მეუღლე თამარ  
ჩიჯავაძე და ქალიშვილი - ნათია ნიშნიანიძე, კომპოზიტორ-  
ები ვაჟა აზარაშვილი და ჯემალ სეფიაშვილი, საქართვე-  
ლოს სახალხო არტისტი, აფხაზეთის ავტონომიური რეს-  
პუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი  
ჯაიანი, უძღვებოდა მუსიკოლოგი თამარ წულუკიძე.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის  
თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბას შესავალი სიტყვის შემ-  
დეგ პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს  
ლიტერატორმა თემურ შავლაძემ, პროფესორებმა ციალა  
მესხიამ, ოთარ ჟორდანიამ. შოთა ნიშნიანიძის ლექსებზე  
ოთარ თავთაქიშვილის, ვაჟა აზარაშვილის, გიორგი ცა-  
ბაძისა და ჯემალ სეფიაშვილის მიერ შექმნილი საოპერო  
არიები თუ რომანსები და სიმღერები შეასრულეს ელდარ  
გენაძემ, ლეგი იმედაშვილმა, გენო ნადირაშვილმა და ავ-  
ტორმა ჯემალ სეფიაშვილმა.

თამარ ჩიჯავაძე, შოთა ნიშნიანიძის მეუღლე, ქმრის  
გვერდით 43 წელი ცხოვრობდა. მან მეუღლის ცხოვრებაში  
უდიდესი როლი ითამაშა.

„მართლაც, საოცარი გრძნობაა, როდესაც შენთვის  
საყვარელი ადამიანი ლექსს იძღვნი. თითოეულ ლექს-  
ში კი საკუთარ თავს ეძებ ამბობს ქალბატონი თამა-  
რი. მეუღლე შოთა ნიშნიანიძისთვის საიმედო დასაყრდენი  
იყო, რადგან მასში ხედავდა საოცრად მოტივირებულ,  
განათლებულ და ერთგულ მეგობარს. ის თავის მეუღლეს  
„პირველ რედაქტორს“ ხდებდა. ქალბატონმა თამარმა გაიხ-  
სენა: „...სებს ნასაკითხად რომ მომანოვებდა, მეტყოდა  
ხოლმე არ მოგეწონება, დაუნდობლა“ ამალეო, თან  
დააყოლებდა: „იცოდე, ფრთხილად იყავი...“ დღეს ამ საქ-  
ციელს ვნანობ, ნეტავ, არ გადამეშალა და არ გადამეყარა,  
მოგვიანებით წაგდ შემეკრა სახელწოდებით „დაწუნებუ-  
ლი სტრიქონები“ აღსანიშნავია ისიც, რომ თამარ ჩიჯავა-

ძე აფხაზი კლასიკოსი მწე...ს ბაგრატ შინკუბას ნანარ-  
მოებ „უკანას... უბიხის...“ სთარგმნელია.

ქალბატონ...მარის მოგონებიდან შევიტყვეთ, თუ რა  
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტისთვის ოჯახის წევრებს:  
შვილს და შვილიშვილებს. მას ერთადერთი ქალიშვილი  
ჰყავდა - ნათია - მისი იმედი და ნუგეში, მისი ცხოვრების  
არსი, მისი შთაგონება. განსაკუთრებული იყო მათი მამაშ-  
ვილობა, მაგრამ მას ბავშვობაში ქალიშვილისთვის ლექსი  
არ მიუძღვნიდა, ეს მოგვიანებით გააკეთა, გარდაცვალე-  
ბამდე ორი-სამი წლით ადრე, როგორც ნათიას ბავშვობის  
მონატრება. სწორედ ეს ლე...ნაიკითხა სალამოზე ნორჩმა  
ანა ქაშიბაძემ, ხოლო „ხარი...“ ლაშა ახალაურმა.

სალამოს ბოლო აკორდი - ნამყვანის მიერ...კითხული  
ლექსი „ჰეი, ვინ მოდის მანდ...კავლიდან?!“ აჟღერდა,  
როგორც შეხმიანება მომავალ...ქართველოსა და აფხა-  
ზეთის მოშლილი ფესვებისა და მორღუობის აღდგენას-  
თან - შარვაშიძე, ემუხვარი, მარშანია და თარბა, გულია და  
შარტავა, და... ჩვენს გულბუბუკაში ღვივდება იმედის მარცვა-  
ლი... ჩვენ დაგზრუნდებით! დიახ, ჩვენ დაგზრუნდებით და  
იქ, აფხაზეთში, აფხაზეთთან ერთად დავაგებთ კაკანათს,  
ერთად გავშლით ბადეს, ერ...ნაიკითხავთ აბრსკილის  
ლექსს - „ლექსს სათაყვან...კვლავ ერთად დავიღუღუ-  
ნებთ მამაპაპურ „ვარადას...“ იქ, შოთა ნიშნიანიძის ლექ-  
სებზე, კვლავ აღიზრდებიან ხვიჩა, გიორგი, რაუფი, ცოტ  
ნე...და მთელ საქართველოში, „უსასრულო ღვთის ტაძარს...  
კვლავ დაიგუგუნებს დედო ზარი...“

სალამოს დასასრულს მოსწავლეებმა ნაიკითხეს ლოცვა  
ქართველთა და აფხაზთა მშვიდობისა და ერთობისათვის,  
რომ კვლავ გაიღვიძოს მათში მიტევევის უნარმა, სულის  
სიღრმეში დაბუდებულია ადამიანურმა ღვთისმად ერთმა-  
ნათისაკენ, ამ ლოცვამ უნდა აატოკოს ის ძარღვი, რომე-  
ლიც საუკუნეების განმავლობაში ერთ ბუდეში ცხოვრებას  
გაუბამს ქართველთა და აფხაზთა შორის, მაღლარვით  
გადაუხლართავს ერთმანეთში ადათ-წესები და თვისებები,  
გვარ- სახელები და რწმენები, ვინაიდან ოდითგანვე „ერთი  
მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს...“

## გაგზავთა საეწმეგოჩისო დღე

\*\*\*

მერი დავითაშვილის სახელობის საბავშვო... მოზარ-  
დთა მუსიკის 45-ე კვირეულის ფარგლებში... ივნისს  
აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მოაწ-  
ყო სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო  
სას...ელების...წავლეთა...ცერტი, რომელიც გამოჩე-  
ნილ...რთველ...მპოზიტ... ვაჟა აზარაშვილის იუბი-  
ლეს მიეძღვნა.

სოხუმის სამუსიკო სასწავლებელს ხანგრძლივი ისტო-  
რია გააჩნია და მას დიდი როლი აქვს შესრულებული აფხა-  
ზური მუსიკის შესწავლა-განვითარებისა და პროფესიული  
კადრების აღზრდის საქმეში. სასწავლებელი 1930 წელს  
დაარსდა და 1993 წლამდე ნაყოფიერად მოღვაწეობდა  
სამუსიკო ტექნიკუმის სახით. ომის შედეგად მისი ფუნქ-  
ციონირება, აფხაზეთის დატოვებიდან სამი წლის შემდეგ,  
1996 წელს, გაგრძელდა თბილისშიც, როგორც სოხუმის  
დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლე-  
ბელი...-წლიანი სამუსიკო განათლების კერა. ამდენად,  
2016 წელი, გარკვეული თვალსაზრისით, ამ დაწესებულე-  
ბის საიუბილეო...ლიც არის, ასე ვთქვათ, სასწავლებ-  
ლის „თბილისური...ღვაწეობის 20 წლისთავი.

რატომ გადაწყდა „კვირეულში“ მხოლოდ ვაჟა აზარაშ-  
ვილის შემოქმედებით მონაწილეობა?

ამას მრავალი მიზეზი გააჩნია და უპირველესი მათ შო-



რის ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი ღვაწლის მნიშვნე-  
ლობა, მისი აღიარება და დიდი ნიჭიერებაა.

წლევანდელი წელი ვაჟა აზარაშვილის საიუბილეო წლა-  
დაა გამოცხადებული. 13 ივლისს კომპოზიტორს 80 წელი  
უსრულდება და ამ თარიღის აღსანიშნავად უკვე ჩატარდა

რამდენიმე კონცერტი, შემოქმედებითი შეხვედრები მუზეუმებში, სკოლებსა და სხვა დანებსებულეებში. მათ რიცხვს მიეკუთვნება აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით მოწყობილი შეხვედრა-კონცერტიც: ვაჟა აზარაშვილი – 80.

დღეს ძნელია დაასახელოთ თანამედროვე სხვა ქართველი კომპოზიტორი, რომელიც ასეთ პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდეს ჩვენს ქვეყანაში, როგორც ვაჟა აზარაშვილი. და არა მარტო საქართველოში! უცხოეთში, მრავალ ქვეყანაში, სადაც კი მისი მუსიკა შესრულებულა, კომპოზიტორი უამრავ თყვანისმცემელს იძენს. ამას

ტონმა მანანამ წაიკითხა საკუთარი ლექსები. კონცერტის მსვლელობისა და ვაჟა აზარაშვილი კომენტარებს უკეთებდა საკუთარ თხზულებებს. კონცერტის ბოლოს კომპოზიტორმა უპასუხა დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს და მათივე თხოვნით შეასრულა რამდენიმე სიმღერა, რამაც შეხვედრა-კონცერტს თანამოაზრობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის საოცარი განცდა შესძინა. კონცერტის პროგრამაზე გამოტანილი იყო ფრაზა ვაჟა აზარაშვილის სიმღერიდან – „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“. კონცერტმა ცხადყო, რომ მართლაც „სიმღერა“ და უფრო ფართო გაგებით „მუსიკა“ არის კომპოზიტორის მთელი ქონება, მისი ცხოვრების არსი და დანიშნულება!

ლალი კაკულია

\*\*\*

2016 წლის 2 ივნისს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები, სტრატეგიის გადობასთან ურთიერთობის საბუნტო „პროფილის“ ხარდაჭერით, „გურჯაანის ნაყინ“ კრადიციული აქციის მკვავილების თაიგული ბავშვებს სტუმრა აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და 200-მდე ბავშვს გაუმასპინძლდა. ღონისძიებამ ბავშვთა საერთაშორისო დღე ნამდვილ ზეიმად აქცია სკოლის მოსწავლეთათვის, მათ მიერ ჩატარებულმა კონცერტმა კი გაახალისა სტუმრები.

\*\*\*

იმავ დღეს სტრატეგიის გადობასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ ხარდაჭერით ვესტუმრეთ ჯანრთელობის სახლს. აფხაზეთის საჯარო სკოლის სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახიდან 20-მდე მოსწავლეს დიდი სიყვარულით, გასართობი პროგრამებითა და საჩუქრებით დახვდნენ კლინიკის თანამშრომლები და მონვეული სტურები. მათ დღესასწაული მიულოცა კლინიკის დირექტორმა ამირან ქორიძემ.

\*\*\*



ადასტურებს რამდენიმე დღით ადრე (11.06.2016) საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სარკეებიან დარბაზში გამართული ვაჟა აზარაშვილის საავტორო კონცერტიც, რომელშიც ლოს-ანჯელესში მოღვაწე მუსიკოსებმა, იპონელმა მევიოლინემ კენ აისომ და უკრაინელმა პიანისტმა ვალერია მარდოესკაიამ კომპოზიტორის კამერული მუსიკა წარმოადგინეს.

რა განსაზღვრავს ვაჟა აზარაშვილის მუსიკის პოპულარობას? მაღალი პროფესიონალიზმი, განცდების გადმოცემის გულწრფელობა, მხურვალე ემოციურობა, მელოდიური ნიჭი, თანამედროვე მუსიკალური ხერხებისა და ტექნიკური საშუალებების ეროვნულ სააზროვნო პროცესებთან შერწყმის უნარი!

კომპოზიტორი მრავალ ჟანრში მოღვაწეობს. მას ერთნაირად ხელენიფება აკადემიური მუსიკის ისეთი რთული ჟანრები, როგორცაა სიმფონიური ციკლები (სონატები, კონცერტები) და ხალხთა მასებში პოპულარული საესტრადო სიმღერა, რომლის 300-მდე ნიმუშიც აქვს შექმნილი. ორივე შემთხვევაში კომპოზიტორის ხელწერა უბრალოებით, სისადავითა და გულწრფელობით გამოირჩევა, რაც მის მუსიკას გასაგებს ხდის მსმენელთა დიდი ნაწილისათვის.

საკონცერტო პროგრამაში კომპოზიტორის ცნობილი სიმღერები, საფორტეპიანო პიესები და საფორტეპიანო დუეტები სასწავლებლის პედაგოგების – მანანა პაპიაშვილის, თამარ იაშვილის, ნანა რეხვიაშვილის, თემურ თამლიანის, მანანა ბერულავას, მაია ცაავას მოსწავლეებმა და მომღერალმა ირმა მორალიშვილმა შეასრულეს.

შეხვედრა დაიწყო სიმღერით „თბილისზე“, ხოლო სასწავლებლის ანსამბლმა დავით ოკუჯაშვილმა ხელმძღვანელობით დაასრულა სიმღერით „სოხუმზე“ კონცერტის ასეთი დრამატურგიით მოხდა სანუკვარი სურვილის - აფხაზთა და ქართველთა შორის მეგობრობის აღდგენის იდეის ხაზგასმა.

კონცერტს ესწრებოდა თვით კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი და მისი მეუღლე, პოეტი მანანა დანგაძე. ქალბა-

კვირულის ფარგლებში, 4 ივნისს, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზში გამართულ ანსამბლ „გვირილა“ კონცერტზე აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით მონვეული იყვნენ აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი ბავშვები და ქველმოქმედთა სახლ „მომავლის გზის“ მსახურდებლები.

ბავშვები დიდი სიყვარულითა და აღტაცებით უსმენდნენ ანსამბლ „გვირილას“ საქართული ესტრადის ვარსკვლავებს: ნუგზარ კვამალს, სოფო ბედიას, ზურაბ კობეშავიძეს, ზურაბ დოიჯაშვილს, ზურა მანგაძეს.

კონცერტის დასასრულს მონვეულ ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები.

# კიდევ ერთი საერთაშორისო ჯილდო



2016 წლის 8 ივნისს წმინდა ანთიმოზ ივერიელისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მონაწილე რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტომისის ეპარქიის მღვდელმთავარმა, არქიეპისკოპოსმა თეოდოსი პეტრესკუმ დამსწრე საზოგადოებას გააცნო გადაწყვეტილება მამა ადამის (ახალაძის) დაჯილდოვების შესახებ რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ჯვრის ორდენით, რომელიც მას მიენიჭა გამორჩეული როლისათვის რუმინეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ურთიერთობების განვითარების, სარწმუნოებრივ და მეცნიერულ მსოფლმხედველობათა გამთლიანებისკენ მიმართული მეცნიერული კვლევების წარმოებისა და საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

არქიმანდრიტი ადამი, წმინდა თამარ მეფის სახელობის შინდისის დედათა მონასტრის (თამარწმინდას) წინამძღვარი, საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის სტუმარი გახლდათ 16 ივნისს, სადაც მას სწორედ ეს უდიდესი ჯილდო მიულოცეს.

სალამოს სტუმრები იყვნენ და მამა ადამისათვის ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიის შემდეგ კიდევ ერთი საერთაშორისო ჯილდოს მინიჭების სიხარული გაიზიარეს საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი), მონაზონმა ელენემ (ნაფეტვარიძე), პროფესორმა სიხარ ჟორდანიამ, საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ ხელმძღვანელმა დავით კინწურაშვილმა, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმა. სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ ისაუბრა წმ. ანთიმოზ ივერიელზე და მიულოცა მამა ადამს უდიდესი ჯილდო. მოძღვარს მიულოცეს, აგრეთვე, საქართველოს სახალხო არტისტმა ელდარ გენაძემ კონცერტმაისტერ დარეჯან მახაშვილთან ერთად, ახალგაზრდა მომღერალმა მარია გულორდავამ და კონსერვატორიის პროფესორმა თემურ ელიავამ, ციურისის უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელში ახლახან ჩარიცხულმა სტუდენტმა, პიანისტმა დავით ქეცბაიამ და მსახიობმა, მხატვრული კითხვის ოსტატმა ელდინო სა-



ლარაძემ. ცენტრის სახელით სვეტლანა ქეცბამ მამა ადამს უსახსვორა ცენტრის თანამშრომელ, კალიგრაფ ლა ბაღბაიას მიერ შესრულებული ლოცვა „მამაო ჩვენო“ მამა ადამმა, თავის მხრივ, ცენტრს საჩუქრად წმ. სამების ხატი გადასცა.

# გმა სულიერი ამაღლებისაყენ

უკვე რამდენიმე წელია აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი აქტიურად მონაწილეობს თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარ დეკანოზ ბიძინა გუნიას (რომელიც, ამავე დროს, ცენტრის სულიერი მოძღვარია) ხელმძღვანელობით ჩატარებულ მოლოცვით მოგზაურობებში. წელს, წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, 12 მაისს, სამი ტაძარი მოვილოცეთ: წულურულაშენი, ბოლნისის სიონი და შვენაბადას წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერი.

უძველესი ქართული ტაძარი, ბოლნისის სიონი ქვემო ქართლში, სოფელ ბოლნისში მდინარე ფოლადაურის ნაპირას მდებარეობს. იგი V საუკუნეში აგებული სამნავიანი ბაზილიკაა, ღია თაღოვანი გალერეით ჩრდილოეთ ფასადის გაყოფებით, მეორე მცირე თაღოვანი გალერეით და სანათლავი ოთახით სამხრეთის მხარეს. როგორც ჩრდილოეთის შენობის თაზე მოთავსებული წარწერა გვამცნობს: „შენი...“-თა წმიდისა სამებისათა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე ხიქმნა დაწყებაი ამის ეკლესიისაი და ათოთხმეტ წლისა შემდგომად განეშორა“, - ტაძარი 478-493 წლებში დავით ეპისკოპოსის ინიციატივითაა აშენებული. ტაძრის არქიტექტურა მკაცრი მონუმენტურობით გამოირჩევა – აქ, როგორც საერთოდ ადრინდელი ფეოდალური ხანის არქიტექტურაში, უმთავრესი გულისყური შიდა სივრცის გამშვენებაზეა გადატანილი და ფასადის მო-

კაზმულობა ნაკლებად მნიშვნელოვანია. ტაძარი ნაგებია მომწვანო ფერის კარგად თლილი კვადრებით. ბოლნისის სიონში პირველად ვხვდებით სკულპტურული და ორნამენტული სამკაულის გამოყენებას. ინტერიერში არის გვიანი მხატვრობის ფრაგმენტები. ბოლნისის სიონმა უძველესი ასომთავრული წარწერა შემოგვინახა. ტაძარს ამშვენებს გასაოცარი რელიეფური სკულპტურები: ხარის თავი, ფრინველთა თუ ცხოველთა გამოსახულება, აგრეთვე სხვადასხვაგვარი გეომეტრიული და მცენარეული ჩუქურთმები, ჯვრები. ფრინველთა და ცხოველთა ერთ ნაწილს ქრისტიანულ რელიგიაში სიმბოლური დატვირთვა ენიჭება. ფარშავანგი -სულის უკვდავებას განასახიერებს, ირემი – მორწმუნე ადამიანთანაა გაიგივებული. ჯვრის ერთ სახეს – წრემი ჩახაზულ ბოლოებგაფართოებულ ჯვარს სწორედ „ბოლნური ჯვრის“ სახელწოდებით ვიცნობთ. ჩრდილოეთიდან ტაძრის მთელ სიგრძეზე გაყოლებული ღია თაღოვანი გალერეის უმეტესი ნაწილი დღეს დანგრეულია. ტაძარს გარშემო ფართო, მასიური გალავანი აქვს შემორჩენილი. გალავნის შიგნით, გარდა ეკლესიისა, სამსართულიანი სამრეკლოა აღმართული. როგორც ხედრული წარწერა გვამცნობს, სამრეკლო XVII საუკუნის 80-იან წლებში აუგია ბოლნელ ეპისკოპოსს, ნიკოლოზ მუხრანბაგრატიონის ძეს.

მე-13 საუკუნეში აგებული ნულრულაშენის გუმბათოვანი ტაძარი მდებარეობს ბოლნისის სიონიდან ორიოდე კილომეტრზე, მდ. ბოლნისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, მთის ფერდზე, რომელზეც, ვახუშტის მიხედვით, ეწოდება „მცირე მთა ბოლნისისა“. ძველი გადაჰყურებს ძირს, ხევე გაფანტულ სოფლებსა და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ დაკლაკნილ შარაგზას. ნულრულაშენის ტაძარი მრავალი საუკუნის განმავლობაში უკაცრიელი ყოფილა, რომლის დროსაც მთლიანად დაუკარგავს სახურავი, გუმბათის კონუსი ზოგიერთი სხვა დეტალი. გალავანი ახლახან იქნა აღდგენილი ძველი კონტურის დაცვით. ეკლესიის ნარჩენებში მოხსენიებული არიან მეფე გიორგი და ეკლესიის ამშენებელი ჰასან არსენის ძე. მკვლევართა აზრით, გიორგი მეფე ლაშა გიორგია, ანუ ძველი ამშენებელია მისი მეფობის დროს (1213-1222 წწ). ტაძარი გეგმით ბეთანი-ქვაბთახევი-ფიტარეთის ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ უფრო პატარაა და გუმბათის ყელიც აზიდული პროპორციებისაა. ეკლესიაში განსაკუთრებული სიფაქიზითაა გამოყენებული ფერადი ქვები: თბილი მოყვითალო-ოქროსფერი, ღვინისფერი და ცისფერი. ტაძარი უხვადაა შემკული მდიდრული ჩუქურთმებით.

თბილისის მახლობლად, ერთ მთაზე დაფუძნებულია ულამაზესი მონასტერი და გიორგის სახელობისა, რომელსაც ხალხში „შაჰნასტერს“ უწოდებენ. მისი დაარსების ისტორია დიდ სასწაულთანაა დაკავშირებული:

იდაგა 1795 წელი. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II მცირერიცხოვან ქართველთა ლაშქართან ერთად თავგამოდებით იბრძოდა. მტრის მრავალრიცხოვნებით ძლეულმა ქართველებმა ქალაქი თბილისი დათმეს და მთებს შეეხიზნენ. მეფე ერეკლე და სამეფო ოჯახიც არაგვის ხეობაში გაემართა. აღმოსავლეთის ქვეყნებში სიმდიდრით ცნობილი ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი მტერს საალაფოდ დარჩა. დამორჩილებულ ქვეყანას მტერი, როგორც წესი, რამდენიმე კვირის მანძილზე ძარცვავდა ხოლმე. ომზე უფრო მეტად დამორგუნველი თბილისისათვის მტრის ძარცვა-გლეჯა აღმოჩნდა. რაც ნასაღები იყო, ურმებზე ანყობდნენ, ცოცხლად გადარჩენილებს კი ატყვევებდნენ და სპარსეთში წასაყვანად ამზადებდნენ. სპარსელთა მოთარეშე არმია ბანაკში გვიან

ლამით ბრუნდებოდა. ბანაკი მტკვრის მიმართულებით მარცხენა მხარეს, სოლანლულის მიდამოებში, მაღლა მთაზე მდებარეობდა.

ნაძარცვით დაბრუნებულ ჯარს ყოველ ღამეს უჩვეულო განსაკუთრებული ატყვებოდა თავს: შუალამისას მოსასვენებლად დაბრუნებულ სპარსელთა ბანაკში ყოყინით შემოიჭრებოდა შავნაბდიანი ცხენოსანი მხედარი, ბანაკს აყრიდა, მრავალს დახოცავდა, შიშით შეძრწუნებულებს მოულოდნელად დატოვებდა და გაუჩინარდებოდა. ასე მეორდებოდა თითქმის ყოველდღე. სპარსელებმა გადაწყვიტეს, ჩასაფრებოდნენ ღამის მხედარს და გასწორებოდნენ, მაგრამ შავნაბდიანი მხედრის შეპყრობა ან მოკვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. შეშინებულმა ალა-მაჰმად-ხანმა ჯარის სასწრაფოდ აყრა და საქართველოს დატოვება განიზრახა. საქართველოდან წასვლისას კი პირობა დადო, მომავალ წელს კვლავ შემოვესევი და ქვას ქვაზე არ დავტოვებო.

ქართველებმა იმ მთას, სადაც შავნაბდიანი მხედარი მტერს მიეჭრებოდა და არბევდა, შავნაბადას მთა უწოდეს, ხოლო მთის წვერზე, ქართველთა შემწის, ზეციური მხედრის, წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ააგეს. ზეციური მინიშნებით ეს მხედარი სწორედ დიდმოწამე გიორგი იყო, რომელსაც ჩვენი ქვეყანა არაერთხელ უხსნია დამპყრობელთა მძლავრობისაგან.

ერთი წლის შემდეგ ალა-მაჰმად-ხანმა მართლაც განიზრახა საქართველოს დასაპყრობად წამოსვლა, მაგრამ სალაშქროდ წამოსვლის წინა საღამოს საგულდაგულოდ დაცულ კარავში, სადაც ბუზიც კი ვერ შეფრინდებოდა, სპარსეთის მბრძანებელი, ყველაასათვის გასაოცრად, მახვილით განგმირული იპოვეს. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან 1992 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უწესტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით დაარსდა შავნაბადას მონასტერი, რომელშიც ქართველები დღესაც გულმხურვალედ ავედრებენ უფალს მრავალგანსაცდელგამოვილ ჩვენს ქვეყანას.

მამა ბიძინამ საჯანმრთელო პარაკლისები გადაიხადა ნულრულაშენსა და ბოლნისის სიონში, შავნაბადას მონასტერში კი მრევლი საღამოს ლოცვებს დაესწრო.

ამ წმინდა დღეს კიდევ ერთხელ გადმოვიდა უფლის მაღლი ჩვენზე, აგვამალა სულიერად და რწმენა განგვიმტკიცა.

### პიხვეცი იყო სიტყვა

„... ყოველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამარხულ არს,,

იოანე ზოსიმე

ოთარ ჭილაძე \*\*\*

შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც,  
 გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ,  
 ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო,  
 დაუღვეველო სამშობლოვ ჩემო.  
 შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ,  
 როგორც დაეძებს საქმელს მშვიერი,  
 და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე  
 შემადრწუნებლად ვარ ბედნიერი.

\*\*\*

ვიდრე ხარ... ვიდრე გათოვს და განვიმს,  
 არ წარიკვეთო არასდროს სასო.  
 ხან ოცდაათი ვერცხლი ღირს კაცი,  
 ხან ოცდაათი – ერთ ვერცხლად ფასობს.  
 მაგრამ იმედი, ეს უფლის ჩიტი,  
 კლავ ისეთია, როგორიც იყო,

კვლავ ჭრელი კაბა აცვია ჩითის  
 და თბილისხელა გულს ყველას გვიყოფს.  
 არ ჩაიქნო არასდროს ხელი,  
 ვიდრე ხარ... ვიდრე ხედავ და გესმის...  
 ძველს ცვლის ახალი, ახალი კი ძველი,  
 და ქვის მსროლელი ყვავილსაც გესვრის.  
 ხან ბროლის კოშკზე შემოგვგამს ბედი,  
 ხან გაბზრიალებს, ვით შოლტი ჩიკორს,  
 მაგრამ ღიმილი და ცრემლის წვეთი  
 კვლავ იგივეა, რაც ადრე იყო.

\*\*\*

ჯერ თუმცა ცივი ქარები ქრიან,  
 ზამთარმა უკვე იგრძნო და იცის,  
 რომ უნდა დათმოს, ადრე თუ გვიან,  
 ყოველი გოჯი დაპყრობილ მიწის.  
 ასე რომ – ლხვება ყინვის ყავარი,  
 ბალახიც მალე ამოვა, ჩიტო,  
 და შენი მხდალი შთამომავალი  
 კვლავ მოედება ამ ტყეს და მიწორ

წმიდა ანთიმო  კერიელი (+1716)  
 13 (26) ივნისი

წმიდა ანთიმოზ ივერიელი თავისი დროისათვის ერთ-ერთი უგანათლებლესი ადამიანი იყო, ფლობდა მრავალ უცხო ენას: ბერძნულს, რუმინულს, ძველ სლავურს, არაბულს, თურქულს, გათვითცნობიერებული იყო თეოლოგიაში, ლიტერატურასა და ბუნებისმეტყველებაში. იგი დაჯილდოებული იყო საოცარი ნიჭით, ბრწყინვალედ ფლობდა ხელოვნების ყველა დარგს, განსაკუთრებით მხატვრობას, გრავირებას, მოჩუქურთმებას, ქსილოგრაფიას. ცნობილი იყო, როგორც შესანიშნავი კალიგრაფი, დახელოვნებული ხეზე მჭრელი და ნიჭიერი მოქანდაკე. ის იყო რეფორმატორი სალიტერატურო რუმინული ენისა, ბრწყინვალე მწერალი და აღიარებული ორატორი.

ანთიმოზ ივერიელმა სიცოცხლე შესწირა მეორე სამშობლოდ ქვეულ ვლახეთის გათავისუფლებას თურქთა და ფანარიოტთა უღლისაგან. ცნობები ამ საოცარი ადამიანის სიყრმისა და სიჭაბუკის შესახებ მწირადაა შემონახული. ცნობილია, რომ ის იყო სამცხე-საათაბაგოს მკვიდრი. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი არჩილ მეფეს ახლდა რუსეთში და დიდად ეხმარებოდა ქართული სტამბის ჩამოყალიბებაში. საქართველოში დაბრუნებული ანთიმოზი კავკასიელმა მთიელებმა შეიპყრეს და მონად გაყიდეს. ტყვეობიდან ის გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა. საპატრიარქოში ყოფნის პერიოდი ანთიმოზმა თავისი განათლებისა და ოსტატობის სრულყოფისათვის გამოიყენა. უკვე სახელგანთქმული მხატვარი, გრაფიკოსი და კალიგრაფი დაახლოებით 1690 წელს ვლახეთის მეფის, კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიწვევით ვლახეთში წავიდა. ანთიმოზი ვლახეთში ჩასვლისთანავე სათავეში ჩაუდგა სასტამბო საქმეს. ბეჭდვითმა საქმიანობამ მთელს ქვეყანაში არნახული გაქანება ჰპოვა და უმაღლეს დონეს მიაღწია. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და ამაგდარი იყო საქართველოდან გადახვენილი ქართველი ოსტატი, რომელიც ყველგან და ყველგან ხაზს უსვამდა თავის ქართულ წარმოშობას და აღნიშნავდა, რომ „ძირით ქართველი“ იყო. ანთიმოზ ივერიელმა შეძლო გადაექცია ვლახეთი მართლმადიდებლობის ცენტრად, რომელიც მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა.

1694 წელს ანთიმოზი დანიშნეს სნაგოვოს მონასტრის წინამძღვრად. მან აქ საფუძველი ჩაუყარა ახალ სტამბას. 1696 წელს სნაგოვოს სტამბაში დაიბეჭდა „ღვთისმსახურების წესი 21 მაისს, დღესა წმიდანთა განდიდებისა“ - ას ხელს აწერს იპოდიაკონი მიხაილი, შემდგომში ცნობილი პირველი ქართული სტამბის გამმართავი მიხეილ იმტვანოვიჩი.

1705 წელს ანთიმოზი „რჩეულს ვლახეთის რჩეულ წინამძღვართა შორის“ - ელი დაასხეს რიმნიკის ეპისკოპოსად, ხოლო 1708 წელს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად. ანთიმოზის მიტროპოლიტად დადგინება მთელი ქვეყნისთვის უდიდესი ბედნიერება იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი წერდა: „მოვიდა დიდი ადამიანი ვლახეთის მიწაზე, მოიტანა სინათლე ღვთაებრივმა ანთიმმა, უნგრო-ვლახეთის იერარქმა, შვილმან ბრძენ ივერთა მოდგმისა. ღმერთმა იგი დააჯილდოვა სიბრძნის უშრეტი წყაროთი, რათა მას მოემოქმედებინა კეთილი საქმენი და თავისი სიტყვებით მოეტანა სარგებლობა ხალხისთვის ამქვეყნად“.

წმიდა ანთიმოზის უშუალო ხელმძღვანელობით ვლახეთში 20-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი აიგო, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყოველთა წმიდათა“ - ნასტერი ქალაქ ბუქარესტის ცენტრში. ტაძრის მთავარი შესასვლელის მუხის კარი და ქვაზე ამოტივფრული ქართული ორნამენტები თვით ანთიმოზ ივერიელმა შეას-

რულა. მიტროპოლიტმა ტიპიკონიც შეუდგინა ყოველთა წმიდათა მონასტერს. ანთიმოზი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მონასტრის დამოუკიდებლობის საკითხს, სახელდობრ, მან ყოველთა წმიდათა მონასტერი ბერძნული ეკლესიისგან დამოუკიდებლად გამოაცხადა.

მიტროპოლიტად დადგინების დღიდან წმიდა ანთიმოზმა დაუცხრომელი ბრძოლა დაიწყო ვლახი ხალხის განთავისუფლებისათვის უცხოელ დამპყრობთა ჩაგვრისაგან. პირველსავე დღეს მრევლის წინაშე წარმდგარმა ანთიმოზმა თქვა: „მართლმადიდებლობა თქვენ შეინარჩუნეთ წმიდად და შეუბღალავად, მიუხედავად იმისა, რომ გარშემორტყმულნი, შებოჭილნი ხართ უცხო ხალხთა ძალმომრეობით და განიცდით აურაცხელ გასაჭირსა და უბედურებას, რაც ყოველთვის გამომდინარეობს იმათგან, ვინც თვითნებურად ბატონობს ამ მიწა-წყალზე. თუმცა მე ვიყავი უღირსი და უმცროსი სხვათა შორის, ვითარცა დავითი იყო უმცროსი თავის ძმებს შორის, ღმერთმა არ შეხედა ჩემს სიღარიბეს და უცხოელობას, დაე, თქვენთან ერთად მე თავს გადამხდეს ყოველგვარ გასაჭირი, რასაც გვარგუნებს ჩვენ დრო და ჟამი...“.

მისი სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 1714 წელს თურქებმა სიკვდილით დასაჯეს ვლახეთის მთავარი კონსტანტინე ბრინკოვიანუ, ხოლო 1716 წელს - უკანასკნელი ვლახელი მთავარი სტეფანე კანტაკუზენი და სამეფო ტახტზე აიყვანეს ფანარიოტი ნიკოლო მავროკორდატი, რომლის მთელი საქმიანობა მიმართული იყო თურქეთის ინტერესების დასაცავად ვლახეთში.

ამ მძიმე დღეებში ანთიმოზ ივერიელმა თავის გარშემო შემოიკრიბა ახელ ბოიართა ჯგუფი, რომლის მიზანი იყო გაენდობინებინა ვლახეთი როგორც თურქთა, ასევე ფანარიოტთა ბატონობისაგან. კონკრეტული ღონისძიებებიც დაისახა, მაგრამ ნიკოლო მავროკორდატიმ ანთიმოზს უბრძანა, ნებაყოფილობით უარი ეთქვა მიტროპოლიტობაზე. ანთიმოზმა კატეგორიული უარი შეუთვალა. მაშინ მავროკორდატიმ დახმარებისათვის კონსტანტინეპოლის პატრიარქ ივერემიას მიმართა. ეპისკოპოსთა კრებამ, რომელსაც არც ერთი რუმინელი სასულიერო პირი არ ესწრებოდა, თქმული და რეველუციისკენ ნამქებზელი მემბოქმეტი ანთიმოზი შეაჩვენა, განკვეთა ეკლესიიდან და გამოაცხადა ყოველივე სამღვდელო „ღირსებახდილად“ მაგრამ ნიკოლო მავროკორდატისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ანთიმოზ ივერიელის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტობიდან გადაყენება, ამიტომ გადაწყვიტა, მოეშორებინა ვლახეთიდან. მან მიაღწია იმას, რომ წმიდა ანთიმოზი საბოლოოდ გააძევეს სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში. რუმინელი ხალხის ერთგული და მოსიყვარულე მიტროპოლიტი შუალამისას გაიყვანეს ქალაქიდან, რადგან მოსახლეობის მღელვარების შეეშინდათ, მაგრამ სინას მთამდე ანთიმოზ ივერიელს არ მიუღწევია. გალიპოლის მახლობლად, ადრიანოპოლზე გამავალი მდინარის, დულჩიას ნაპირზე თურქმა ჯარისკაცებმა ასო-ასო აკუნეს ანთიმოზ ივერიელი და მისი წმიდა ნაწილები მდინარეში გადაყარეს.

ასე დამთავრდა სიცოცხლე კიდევ ერთი ქართველი წმიდანისა, რომელმაც მთელი თავისი დაუშრეტელი ცოდნა, ნიჭი, ენერგია ვლახი ხალხის სულიერი გაძლიერებისა და ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს მოახმარა.

1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დაანესა 14 (27) სექტემბერი, წმიდანის გარდაცვალების დღე. ქართული ეკლესია მის ხსენებას 13 (26) ივნისს აღნიშნავს.





## საეკლესიო კალენდარი

### ივლისი

- 1 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-2 შვიდეულის პარასკევი \_ ღირსი მიქაელ ულუმბოელის ხსენება (VI.);
- 2 ივლისი (შაბ.) \_ უფლის ძმის, მოციქულ იუდას ხსენება;
- 3 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-2 კვირა \_ ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ათონის წმ. მთაზე განბრწყინებულთა;
- 4 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-2 შვიდეულის ორშაბათი \_ წმ. დიდებულთა მონამეთა საქართველოს მეფეთა არჩილისა (744წ.) და ლუარსაბის (1622წ.) ხსენება;
- 5 ივლისი (სამშ.) – მღვდელმონამე მიქაელ ჰერელის (ყულოშვილი, 1918წ.);
- 7 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-3 შვიდეულის ხუთშაბათი – შობა პატრიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;
- 8 ივლისი (პარ.) \_ ღირ. მონ. ფებრონია ქალწულის ხსენება (დაახ. 304წ.);
- 10 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-3 კვირა \_ ღირ. გიორგი მთანმიდელისა (1065წ.) და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მღვდელმონამე კირიონ II (1918წ.) ხსენება;
- 11 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-4 შვიდეულის ორშაბათი \_ აღმოყვანება ნაწილთა წმიდა მონამეთა კვიროს და იოანე უვეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა (412წ.);
- 12 ივლისი, სამშაბათი – პეტრე-პავლობა (დიდებულთა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლეს ხსენება);
- 13 ივლისი (ოთხშ.) – სვეტიცხოვლობა. დიდებულთა და ყოვლად ქებულთა ათორმეტ მოციქულთა კრება;
- 14 ივლისი (ხუთშ.): \_ წმ. ნერსე მთავარეპისკოპოსის ხსენება; \_ საკვირველთმოქმედთა უვეცხლოთა კოზმასი და დამიანესი (რომში წამებულთა – 284წ.);
- 15 ივლისი (პარ.) \_ დადება პატრიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა ვლადქერნას (V.);
- 16 ივლისი (შაბ.) \_ გერგეთობა - ყოვლადწმიდა სამების დღესასწაული სტეფანწმინდის რაიონის სოფელ გერგეტში;
- 17 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-4 კვირა \_ წმ. ანდრიას, კრეტელი მთავარეპისკოპოსის ('სინანულის დიდი კანონის~ შემქმნელის) ხსენება (712-726წ.);
- 18 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-5 შვიდეულის ორშაბათი \_ ღირ. ათანასე ათონელის ხსენება (1000წ.);
- 21 ივლისი (ხუთშ.) \_ წმ. მირდატ მეფის ხსენება (410წ.);
- 23 ივლისი (შაბ.) \_ ორმოცდახუთთა მონამეთა, ნიკოპოლისში წამებულთა ხსენება (დაახლ. 319წ.);
- 24 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-5 კვირა \_ დიდმონამე ეფემია ყოვლადქებულის სასწაულის ხსენება;
- 25 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-6 შვიდეულის ორშაბათი \_ ღირ. მამათა ჩვენთა ათონელთა: იოანეს და გარიელის ხსენება (X.);
- 26 ივლისი (სამშ.) \_ კრება გაბრიელ მთავარანგელოზისა;

- 28 ივლისი (ხუთშ.) \_ მონ. კვირიკესა და ივლიტას ხსენება (დაახლ. 305წ.);  
 30 ივლისი (შაბ.) \_ დიდმონ. მარინეს ხსენება (IVს.);  
 31 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-6 კვირა \_ ექვსი მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება; ღირ. კოზმან ხუცესმონაზონის ხსენება (1630წ.).

\*\*\*

## ივლისი

- 1 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-7 შვიდეულის ორშაბათი \_ ღირ. სერაფიმე საროველის ნანილთა პოვნა (1903წ.);  
 2 აგვისტო (სამშ.): \_ წინასწარმეტყველ ილია თეზბიტელის ხსენება (IXს. ქრისტეს წინ);  
 \_ წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) ხსენება (1907წ.);  
 \_ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ანგელოზის დღე.  
 4 აგვისტო (ხუთშ.) \_ მოც. სწორის მენელსაცხებლის მარიამ მაგდალინელის ხსენება (Iს.);  
 6 აგვისტო (შაბ.) \_ ღირ. ილარიონ თუალელის ხსენება (XIს.);  
 7 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-7 კვირა \_ მიძინება მართალი ანასი, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის დედისა;  
 9 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-8 შვიდეულის სამშაბათი \_ დიდმონ. პანტელეიმონ მკურნალის ხსენება (305წ.);  
 11 აგვისტო (ხუთშ.) \_ მონ. ევსტათი მცხეთელის ხსენება (589წ.);  
 12 აგვისტო (პარ.) \_ აღმს. ცოტნე დადიანის ხსენება;  
 13 აგვისტო (შაბ.) \_ ცხოველსმყოფელი ჯვარის პატიოსან ძელთა შემოყვანების წინა დღესასწაული;  
 14 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-8 კვირა: \_ ცხოველსმყოფელი ჯვარის პატიოსან ძელთა შემოყვანება; \_ მარიამობის მარხვის დასაწყისი! წყლის კურთხევა (მცირე აიაზმა).  
 15 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-9 შვიდეულის ორშაბათი \_ პირველმონამე მთავარდიაკონ სტეფანეს ნან. აღმოყვანება (დაახ. 428წ.);  
 16 აგვისტო (სამშ.): \_ პირველმონამე რაჭდენის ხსენება (457წ.);  
 \_ მარაბდის ომის გმირთა: ცხრა ძმა ხერხეულიძის, დედისა და დისა მათისა და მათთან 9000 ქართველთა, მხედართა და მხედართმთავართა ხსენება;  
 17 აგვისტო (ოთხშ.) \_ შვიდთა ყრმათა ეფესელთა ხსენება (დაახ. 250წ.);  
 19 აგვისტო (პარ.) \_ ფერისცვალება (ხსნილია თევზით);  
 21 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-9 კვირა \_ ღირ. ექვთიმესი, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრისა;  
 22 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-10 შვიდეულის ორშაბათი \_ მოც. მატათას ხსენება (დაახ. 63წ.);  
 26 აგვისტო (პარ.) \_ ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ხსენება (662წ.);  
 27 აგვისტო (შაბ.) \_ მღვდელმონამე ნაზარის (ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის) ხსენება (1924წ.);  
 28 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-10 კვირა:  
 \_ მარიამობა (ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინება);  
 \_ სიონობა;  
 \_ ღმრთისმშობლის ხატთა თაყვანისცემა.  
 29 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-11 შვიდეულის ორშაბათი:  
 \_ წამოყვანება იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატისა ედესით კონსტანტინეპოლს (944წ.);  
 \_ ანჩისხატობა;  
 \_ მამა ანტონობა მარტყოფში.



### გაგუგუთა ნამკთაგუმკრრსო დღა



### გზა სურრმკრ აგაღღაგრრინაგგნ



### კრღაგ ვკთრ ნამკთაგუმკრრსო ჰრღაგ





ISSN 2298-0865



9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),  
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა  
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, თოფურის ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი